პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 144 (2507) ◉ ხუთშაბათი, 23 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ.

## სარეკორდო დროში

**მესტია,** 22 ივლისი (დეპეშით, ჩვენი კორ.). წინასავარჯიშო საკვალიფიკაციო სერიიდან „კოლმეურნის" გაერთიანებულმა გუნდმა [illegible] — 20 საათში მოახდინა ასვლა და ჩამოსვლა მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით.

სხვა ასვლები და მთავარი იერიშისთვის მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

**ს. გვალია,**
**სპორტის ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაროსლავლში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის. ამ ასპარეზობაში გამარჯვებულნი — გ. ჭელიძე (მარცხნივ; პირველი ქვესაშუალო წონა) და თ. სირბილაძე (მეორე ქვესაშუალო წონა). ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ფინალში — ქულათა მაქსიმუმით

**უკანასკნელი,** მეხუთე ტურით თბილისის კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონზე დამთავრდა სტუდენტთა საკავშირო ზონალური გათამაშება კალათბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

მოკლე ექსკურსი ტურნირის გარშემო:

ასპარეზობა დაუმარცხებლად განვლეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა კოლექტივებმა, რომლებმაც დააგროვეს: ქალებმა — ქულათა მაქსიმუმი — 5, ვაჟებმა კი — 4 და ღირსეულად დაიკავეს პირველი ადგილები თავიანთ ჯგუფებში.

თითო დამარცხებით მეორე ადგილებზე გამოვიდნენ: ქალებში — კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხოლო ვაჟებში — ოდესის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივები. დებულების თანახმად, ოთხივე გუნდი მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა ზაფხულის საკავშირო ფინალურ თამაშებში. ფინალში მათ ჩაეთვლებათ ზონალური ასპარეზობისას მოპოვებული ქულები.

უკანასკნელ შეხვედრაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი შეხვდა აზერბაიჯანელ სპორტსმენებს. ამ მატჩში სტუმრებს თავგამოდებული თამაშით მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ მასპინძლები. ისინი თავიდანვე შეურიგდნენ წაგებას და დამარცხდნენ კიდეც — 33:46. ჩვენმა ვაჟებმა ამ დღეს ძალიან ცუდი „სტუმართმოყვარეობა" გამოიჩინეს — მათ ტურნირის თავისებური რეკორდი დაამყარეს: ანგარიშით 93:67 დაამარცხეს აზერბაიჯანის ნავთობის ინსტიტუტის გუნდი.

მოგვყავს ბოლო შეხვედრათა ანგარიშები: **ქალები** — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (კაუნასი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 71:40; **ვაჟები** — სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოსკოვი) — პედაგოგიური ინსტიტუტი (ოდესა) 33:43, საფეიქრო ინსტიტუტი (ტაშკენტი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ჩელიაბინსკი) 51:69.

**პ. ხანდამიშვილი**

## საათს!

◆ **ოდესა,** 22 ივლისი. დღეს აქ დამთავრდა სტუდენტთა IV საკავშირო თამაშების ზონალური ტურნირი ფრენბურთში. ვაჟთა შორის გაიმარჯვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა.

◆ **კისლოვოდსკი,** 22 ივლისი. სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირის IX ტურში ბიხოვსკიმ მოუგო შტეინს, ტალმა — ჩოკილტიას. ავერბახ — ხასინის, ფიხტლ — კლიუგერისა და ბრადვარევიჩ — ფუქსის პარტიები ყაიმით დასრულდა. პირველ სამ ადგილზე არიან დიდოსტატები შტეინი, ავერბახი და ტალი. თვითეულს 5,5 ქულა აქვს. ტურნირის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

◆ **ბუენოს-აირესი,** 22 ივლისი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IX ტურში პეტროსიანმა დაამარცხა ლეტელიე, ხოლო კერეს — ბირნის პარტია ყაიმით დამთავრდა. ტურნირს ამჟამად ორი ლიდერი ჰყავს — პეტროსიანი და ბირნი (7 ქულა თვითეულს). 6 ქულით მესამე ადგილზეა კერესი.

◆ **იალტა,** 22 ივლისი. აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში. გაიმარჯვა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა, რიგელმა ა. ანდრეიკომ (11 ქულა). მას ნახევარი ქულით ჩამორჩა მოსკოველი ბ. შკიტკინი, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია და მოუგო გამარჯვებულს. ა. ანდრეიკოს გადაეცა საერთაშორისო ოსტატის საპატიო ნიშანი.

## ერთი საფეხურით დაბლა

**ტალინი,** 22 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). შუა ფაზაში შევიდა მოსწავლეთა საკავშირო ზონალური სპარტაკიადა. გაცნობებთ ტექნიკურ შედეგებს სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით:

**კალათბურთი:** საქართველო — ესტონეთი 51:21 (გოგონები), 64:61 (ჭაბუკები).

**ფრენბურთი:** საქართველო — ბელორუსია 1:3 (გოგონები), 3:0 (ჭაბუკები).

**წყალბურთი:** საქართველო — ლატვია 9:0.

**ტანვარჯიში:** გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს საქართველოს ნაკრები. პირველთანრიგოსანთა შორის გაიმარჯვა მუჩიაშვილმა, რომელმაც 54,2 ქულა დააგროვა.

**ცურვა:** ამანათცურვაში 4×100 მ როგორც გოგონებმა, ისე ჭაბუკებმა, მეორე ადგილი დაიკავეს.

**წყალში ხტომაში** ყველას აჯობა თბილისელმა პოგონიამ.

**სროლაში** საქართველოს კოლექტივი ბოლო ადგილზეა.

**მაგიდის ჩოგბურთი:** საქართველო — ლატვია 5:4 (გოგონები), 8:1 (ჭაბუკები).

**ჭადრაკი:** ლენინგრადელებთან შეხვედრაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები აგებენ ანგარიშით 1:3. ოთხი პარტია გადადებულია.

**ველორბოლა:** 25-კილომეტრიან დისტანციაზე ჩვენმა ჭაბუკებმა მხოლოდ IV ადგილის დაკავება შეძლეს.

**მძლეოსნობა:** აქ ორი მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა საქართველოს წარმომადგენლებს — ბონდარენკოს — სიმაღლეზე ხტომაში (190 სმ) და ციალა ლიპარტელიანს — შუბის ტყორცნაში (41 მ). გუნდურ ჩათვლაში ჩვენი მძლეოსნები ბოლო ადგილზე არიან.

საქართველოს მოსწავლეთა კოლექტივმა საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა, თუმცა ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

**ნ. ფოფხაძე**

## „კაირატის" გამარჯვება

გასულ კვირას ალმა-ატაში გაიმართა ფეხბურთელთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ადგილობრივმა „კაირატმა" ანგარიშით 4:1 დაამარცხა ბულგარეთის ქალაქ სტანკე-დიმიტროვის „მარეკი".

## მოჭადრაკეთა უმაღლეს ფორუმზე

**მოსკოვი.** (ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი იყო განხილული.

ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. აბრამოვმა, რომელიც თავკაცობდა საბჭოთა დიდოსტატების დელეგაციას ამსტერდამში, დაწვრილებით ილაპარაკა საზონათშორისო ტურნირის პერიპეტიებზე. მან აღნიშნა, რომ ტურნირის ყველა მონაწილე სინანულს გამოთქვამდა საბჭოთა მოჭადრაკეების მიმართ ფიდეს „სპეციალური შეზღუდვის" გამო. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა რამდენიმე წინადადება პრეტენდენტთა შეხვედრების სისტემის შეცვლაზე.

ფედერაციის საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარემ, დიდოსტატმა ა. კოტოვმა პრეზიდიუმს ერთ-ერთი წინადადება გააცნო... მან თქვა, რომ საზონათშორისო ტურნირის ოთხი საბჭოთა მონაწილე (სმისლოვის გარდა) წინადადებას იძლევა მოეწყოს პრეტენდენტთა ორწრიანი ტურნირი 12 მონაწილით. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა უკრაინის ფედერაციის დელეგატმა, რომელმაც მოაგონა პრეზიდიუმს, რომ სსრ კავშირის ჩემპიონი შტეინი უკვე მეორედ იჩაგრება ფიდე-ს დისკრიმინაციული წესების გამო. დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა განაცხადა, რომ შეიძლება არ დავარღვიოთ „მატჩების იდეა" და მათ მხოლოდ მერვედფინალი დავუმატოთ, რაც პრეტენდენტთა რიცხვს 16-მდე გაზრდის.

ფედერაციის პრეზიდიუმმა საჭიროდ არ ცნო ფიდე-ში ასეთი წინადადებით შესვლა მსოფლიო პირველობის მიმდინარე ციკლში. მით უმეტეს, რომ პრეტენდენტთა მატჩები შემოღებულია სსრ კავშირის საჭადრაკო ორგანიზაციის წინადადებით. ამასთან, პრეზიდიუმმა დაავალა სპორტულ და საერთაშორისო კომისიებს წამყვან დიდოსტატებთან ერთად შეიმუშაონ მსოფლიო პირველობის შემდგომი გამართვის სისტემა ყველა ეტაპით და თავისი წინადადებები მოახსენონ პრეზიდიუმს.

ლ. აბრამოვმა დაწვრილებით ილაპარაკა აგრეთვე პრეტენდენტთა მეოთხედფინალური და ნახევარფინალური მატჩების კენჭისყრაზე. კენჭისყრას ატარებდა თვით ფიდე-ს პრეზიდენტი ფ. როგარდი (1966 წელს იგი გადადგომას აპირებს). მან ამოიღო ბოტვინიკისა და კერესის მეტოქეთა ნომრები.

— ეს არ უნდა გაეკეთებინა პრეზიდენტს, ვინაიდან მისთვის არავის მიუცია ამისი უფლება, — თქვეს დელეგატებმა.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ პრეზიდიუმმა გადაწყვიტა კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხის განხილვას თუ ბოტვინიკისა და კერესის მხრიდან პროტესტი შემოვა.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა გუნდის შემადგენლობა, რომელიც ისრაელში XVI საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაემგზავრება. დელეგაციის ხელმძღვანელობა დაეკისრა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. როდიონოვს, კაპიტნობა — დიდოსტატ ა. კოტოვს, მწვრთნელობა — დიდოსტატებს ი. ბოლესლავსკისა და ე. გელერს.

პრეზიდიუმმა სოხუმის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში წარმატებით თამაშისათვის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა მოსკოველ ლიუდმილა ბელავენეცს.



ჭრავალ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში გაუმარჯვნია თბილისელ ჩოგბურთელ ირინე ერმოლოვას. იგი წარმატებით გამოდის რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებშიც, მაგრამ წელს მან ორჯერ წააგო რ. აბჟანდაძესთან და საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, გ. მუსაელიანთან ერთად ცნობილმა სპორტსმენმა ქალმა შერეული წყვილების ფინალურ მატჩში „შური იძია" და დაამარცხა რ. აბჟანდაძე — ნ. მძინარიშვილი.

**სურათზე:** ი. ერმოლოვა თამაშში.

ფოტო პ. ქებაბჩიანისა.

## მაღაზი — მაღაზში

„15 სექტემბერს კარს გაალებს ახალი ქალაქი, რომელიც აშენდა ტოკიოს ერთ-ერთ ფერდობზე", — იუწყება იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტო. ეს არის ოლიმპიური ქალაქი. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ჟურნალისტებს გადასცა საინტერესო ცნობები.

ოლიმპიურ ქალაქს უკავია 780 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. აქ დაბინავდება 7.500 სპორტსმენი და სპორტული მოღვაწე. ქალაქში 7-12-კაციანი 543 პატარა კოტეჯია და 15 — ოთხსართულიანი სახლი. აქედან 4 — გამოყოფილია სპორტსმენი ქალებისთვის. ოლიმპიელების სეპარატული „სახელმწიფოს" ცენტრში გაივლის „მაღაზიების ქუჩა". აქ სპორტსმენებს შეეძლებათ ყველაფრის ყიდვა, — პროდუქტებიდან დაწყებული და ავტომანქანებით დამთავრებული. „მაღაზიების ქუჩის" გვერდით არის თეატრი, რესტორანი, ბანკი, ფოსტა და ტელეგრაფი. მთავრდება პატარა ტანვარჯიშული დარბაზისა და საწყლოსნო აუზის მშენებლობა.

არის კიდევ ერთი სპეციალური შენობა — „მზარეულების სახლი". აქ შეიკრიბება იაპონიის 306 საუკეთესო მზარეული, რომლებიც ამჟამად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს — სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კერძების მომზადებას. ოლიმპიელთა ყოველდღიურ მენიუში იქნება 200-მდე კერძი.

საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურების ჩინებულად მოწყობისთვის. ოლიმპიელებს დახმარებას გაუწევს 1.680 ექიმი, 2.844 სამედიცინო და, 2.763 სანიტარი. მათი ძირითადი ბაზა ოლიმპიური ქალაქია. ეროვნულ სტადიონსა და სპორტულ მოედნებზე გაიხსნება პირველი დახმარების 54 პუნქტი.




## ახალი პრიზი

„ა" კლასის ფეხბურთელთა გუნდების ჩემპიონატში დანიშნულია სპეციალური პრიზები, რომლებიც გადაეცემა მონაწილეებს საუკეთესო მაჩვენებლებისთვის.

ამ პრიზებს 1964 წლიდან დაემატება ჟურნალ „სმენის" ახალი ჯილდოც. ეს მეტად ორიგინალური პრიზია. ყოველი სეზონი ავლენს ახალგაზრდა, მანამდე უცნობ ფეხბურთელთა სახელებს, რომლებიც პირველად გამოდიან „ა" კლასის ოსტატთა გუნდებში. „სმენის" რედაქცია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად აწესებს წამახალისებელ სამკერდე ნიშანს — „11 საუკეთესო დებიუტანტი". ეს ნიშნები გადაეცემათ დებიუტანტებს (მეკარეს, მცველებს, ნახევარმცველებს, თავდამსხმელებს), რომლებიც სეზონის მანძილზე აჩვენებენ საუკეთესო თამაშს.

კანდიდატთა განხილვისას უპირატესობა მიეცემათ 17-20 წლის ფეხბურთელებს, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიკავებენ გამოცდილ ოსტატებთან ერთად.

# წესდება

## სსრ კავშირის სპორტულ საზო

მიღებულია მეორე საკავშ

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი წარმოადგენს მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და აერთიანებს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობას ეწევიან ფიზკულტურასა და სპორტში.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი მუშაობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პროფკავშირისა და კომკავშირის ყოველდღიური აქტიური მონაწილეობით და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში, ფიზკულტურელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მთელი საქმიანობა წარიმართება სკკპ პროგრამის საფუძველზე და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარების საფუძველზე ხალხთა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა, როგორც მშრომელთა ფართო მასებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მათი ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ზრდის და სამშობლოს დასაცავად საბჭოთა ადამიანების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი წარმართავს და კოორდინაციას უკეთებს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, რომელსაც იგი ახორციელებს ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატურ მეცადინეობაში, ფიზკულტურულ-გამაჯანმრთელებელ და სპორტულ ღონისძიებებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, ფართო მასების მიზიდვით.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა აღზრდას წარმართავს კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის, საზოგადოებრივი სასარგებლო შრომისადმი ღრმა პატივისცემის მაღალი ზნეობრივი პრინციპების სულისკვეთებით, რომლებიც განსაზღვრულია კომუნიზმის მშენებელთა მორალურ კოდექსში.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი ახორციელებს სპორტის ყველა სახეობათა განვითარებას, ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის დონის ზრდას, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებას, რომელთაც უნარი ექნებათ მსოფლიო პირველობის მოპოვებისა სპორტის ყველა სახეობაში.

### I. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ორგანიზაციული წყობა

1. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი, რაც ნიშნავს:

ა) სპორტკავშირის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას ქვევიდან ზევით;

ბ) სპორტკავშირის საბჭოების პერიოდულ ანგარიშგებას ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებისა და სპორტკავშირის ზემდგომი ორგანოების წინაშე;

გ) სპორტკავშირის ზემდგომი საბჭოს გადაწყვეტილებათა უცილობლობას მასში გაერთიანებული სპორტკავშირის ქვემდგომი საბჭოების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციებისათვის, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას;

დ) სპორტკავშირის ყველა ორგანიზაციის დამოუკიდებლობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება სპორტკავშირის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და მითითებებს.

2. საწარმოთა, ტრანსპორტის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფიზიკური კულტურის კოლექტივები სპორტკავშირის საფუძველს შეადგენენ და მასში შედიან ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების ხაზით, რომლებიც მათ აერთიანებენ.

3. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების, სარევიზიო კომისიებისა და ზემდგომი კონფერენციების დელეგატების არჩევნები ტარდება ფიზკულტურის კოლექტივების კრებებზე (კონფერენციებზე), სარაიონო, საქალაქო, საოლქო, საოკრუგო კონფერენციებზე ღია კენჭისყრით.

4. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების, სარევიზიო კომისიებისა და ზემდგომი კონფერენციების (ყრილობის) დელეგატების არჩევნები ტარდება დახურული (ფარული) კენჭისყრით.

სპორტკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებისას საჭიროა დაცულ იქნას მათი შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპი. ყოველ მორიგ არჩევნებში სპორტკავშირის ორგანოების შემადგენლობა საჭიროა განახლდეს სანახევროდ, ამასთანავე, სპორტკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ არა უმეტეს ორი მოწვევის ვადით.

კონფერენციას (ყრილობას) შეუძლია ცალკეულ შემთხვევაში სპორტკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში აირჩიოს ესა თუ ის მუშაკი უფრო ხანგრძლივი ვადითაც. ასეთ შემთხვევაში, არჩევისთვის საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე დელეგატთა ხმების სულ ცოტა სამი მეოთხედი.

თუ ხელმძღვანელი ორგანოს რომელიმე წევრი არ გაამართლებს ნდობას, შესაძლებელია იგი გამოყვანილ იქნას ამ ორგანოს შემადგენლობიდან. სპორტკავშირის ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოების წევრთა (კანდიდატთა) ხელმძღვანელი ორგანოებიდან გამოყვანის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტს შესაბამისი საბჭოს პლენუმი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

სპორტკავშირის ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული სარევიზიო კომისიების წევრთა გამოყვანის საკითხს აღნიშნული კომისიების შემადგენლობიდან განიხილავს და გადაწყვეტს შესაბამისი კომისიების სხდომები იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების წევრთათვის (კანდიდატებისთვის).

5. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები მოვალენი არიან განუხრელად დაიცვან დემოკრატია, ყოველგვარი პირობები შეუქმნან კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას.

ხელმძღვანელობის უმაღლეს პრინციპად მიჩნეულია კოლეგიალობა, როგორც სპორტკავშირის წარმატებითი მოღვაწეობის, კადრების სწორი აღზრდის, ფიზკულტურელთა აქტივობის და თვითმოქმედების განვითარების უცილობელი პირობა. ხელმძღვანელობაში კოლექტიურობა არ უხსნის მუშაკებს პერსონალურ პასუხისმგებლობას მათზე მინდობილ საქმეში.

6. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი აგებულია ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით. მოკავშირე რესპუბლიკებში იქმნება სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკური კავშირები. ისინი აერთიანებენ რესპუბლიკის ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც რესპუბლიკაში მუშაობას ეწევიან ფიზკულტურასა და სპორტში.

მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ოკრუგებში, ქალაქებსა და რაიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობისთვის იქმნება სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოები.

7. სასოფლო რაიონებში, სადაც სპორტკავშირის საბჭოები არ არსებობენ, სპორტკავშირის ყველა ფუნქცია აკისრიათ ნებაყოფლობით სასოფლო სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს.

### II. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის უმაღლესი ორგანოები

8. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის უმაღლესი ორგანოა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საკავშირო ყრილობა, რომელსაც იწვევს სპორტკავშირის ცენტრალური საბჭო არა უგვიანეს ოთხ წელიწადში ერთხელ.

საკავშირო ყრილობის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ ცნობა ქვეყნდება არა უგვიანეს ერთი თვით ადრე მის მოწვევამდე.

საკავშირო ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო.

9. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საკავშირო ყრილობა:

ისმენს და ამტკიცებს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშებს და სახავს სპორტკავშირის მორიგ ამოცანებს;

ამტკიცებს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის წესდებას;

ირჩევს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას ყრილობის მიერ დადგენილი რაოდენობით.

10. საკავშირო ყრილობიდან ყრილობამდე სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას;

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმი მოიწვევა არა უგვიანეს ექვს თვეში ერთხელ;

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს წევრობის კანდიდატები და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები ცენტრალური საბჭოს პლენუმების მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

11. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო:

ორგანიზაციას უკეთებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა შესრულებას;

საკავშირო პროფსაბჭოსთან, საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, სამინისტროებთან, უწყებებსა და ორგანიზაციებთან ერთად წყვეტს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს, განსაზღვრავს სპორტკავშირის მორიგ ამოცანებს; სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად ახორციელებს ფიზკულტურული კადრების მომზადებასა და განაწილებას, ამტკიცებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტების მომზადების პროგრამებსა და გეგმებს, აწარმოებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტების აღრიცხვას, დახმარებას უწევს ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებაში;

ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანმრთელებელი, სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის ორგანიზაციას უკეთებს სოციალისტურ შეჯიბრებას და აჯამებს მის შედეგებს, განაზოგადებს და ნერგავს ფიზიკური კულტურის კოლექტივების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

ისმენს მოხსენებებს, ანგარიშებს, ინფორმაციებს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებისა და ფიზიკური კულტურის კოლექტივების საქმიანობაზე;

გეგმავს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, ამტკიცებს მშთ კომპლექსის ნორმატივებს, სპორტულ კლასიფიკაციას, შეჯიბრებათა წესებს, პროგრამებს სპორტის სახეობების მიხედვით, სპეციალური დისციპლინების პროგრამებს ფიზკულტურული სასწავლო დაწესებულებებისათვის, განიხილავს სკოლების, სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის პროგრამებს;

გეგმავს და ატარებს სპორტულ შეჯიბრებებს, ამტკიცებს ფიზკულტურულ-გამაჯანმრთელებელი ღონისძიებებისა და სპორტული შეჯიბრებების საკავშირო ნაერთ კალენდარულ გეგმას;

ახორციელებს საერთაშორისო სპორტულ კავშირს, აკომპლექტებს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს და ამზადებს მათ ევროპისა და მსოფლიო პირველობებისა და ოლიმპიური თამაშებისათვის;

ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად ორგანიზაციას უკეთებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინეთა სამედიცინო კონტროლს;

პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ეწევა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის აღმზრდელობით მუშაობას, ზრუნავს მათი საერთო განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის;

დახმარებას უწევს სამინისტროებსა და უწყებებს სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა შორის თვითმოქმედი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში;

აწარმოებს ჩვენი ქვეყნის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას;

ხელმძღვანელობს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

პროფკავშირულ, კომკავშირულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან ერთად ორგანიზაციას უკეთებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას; გამოცემს გაზეთებს, ჟურნალებს, სამეცნიერო-მეთოდურ, სასწავლო, თვალსაჩინო და პროპაგანდისტულ ლიტერატურას; მონაწილეობს სხვა ორგანიზაციების მიერ აღნიშნული ლიტერატურის გამოსაცემი გეგმების დამუშავებაში; ამტკიცებს ცენტრალური საბჭოს ბეჭდვითი ორგანოების რედაქციებს; საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად აქვს ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „სოვეტსკი სპორტი";

გეგმავს სპორტკავშირის სისტემაში შემავალი სპორტული ნაგებობების მშენებლობას; კოორდინაციას უკეთებს სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას, რომელსაც აწარმოებენ სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

ორგანიზაციას უკეთებს სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობათა დამზადებას სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს დაქვემდებარებულ საწარმოებში, კოორდინაციას უწევს სამინისტროების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების მიერ სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობათა დამზადების გეგმებისა და მათი განაწილების საქმეს, ამუშავებს ტექნიკურ პირობებს, განიხილავს და ამტკიცებს სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობათა საერთო-საკავშირო სტანდარტებს;

ადგენს და ანიჭებს საკავშირო სპორტულ წოდებებს, აჯილდოებს საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებულებსა და ფიზკულტურულ აქტივს, ფიზკულტურულ მუშაკებს, ფიზკულტურის კოლექტივებს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს;

დადგენილი წესის მიხედვით ქმნის წარმოებებს, სპორტულ ნაგებობებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სასწავლო დაწესებულებებს, სპორტულ სკოლებს, კლუბებს, სპორტულ ბაზებს, ამტკიცებს მათ სტრუქტურასა და შტატებს;

აფინანსებს ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს, სპორტულ ნაგებობებს და დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სასწავლო დაწესებულებებს და ხელმძღვანელობს მათს საფინანსო საქმიანობას; ახორციელებს სპორტკავშირის სისტემის ორგანიზაციების საფინანსო კონტროლს და დოკუმენტურ რევიზიებს;

განიხილავს და ამტკიცებს სპორტული ღონისძიებებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარების, მწვრთნელთა შემადგენლობის, ტაბელური სპორტული ფორმით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების ნორმატივებსა და ინსტრუქციებს;

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირს წარმოადგენს ყველა სახელმწიფოებრივ, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციაში, ახორციელებს კავშირის, როგორც იურიდიული პირის, უფლებებს.

12. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისადმი ხელმძღვანელობისთვის ირჩევს პლენუმიდან პლენუმამდე პრეზიდიუმს, — ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, მათ შორის საკავშირო პროფსაბჭოსა და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებიდან და პრეზიდიუმის წევრებს ცენტრალური საბჭოს მიერ დადგენილი რაოდენობით.

მიმდინარე საორგანიზაციო-აღმასრულებელი ხასიათის საქმიანობის ხელმძღვანელობისთვის სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო ირჩევს ბიუროს ცენტრალური საბჭოს მიერ დადგენილი რაოდენობით.

13. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს. სარევიზიო კომისია კონტროლს უწევს ცენტრალურ საბჭოს, მის საუწყებო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობას, აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების მდგომარეობას, აგრეთვე ამოწმებს მოქალაქეთა და ორგანიზაციების წერილებზე, საჩივრებსა და განცხადებებზე დროული და სწორი პასუხის გაცემას.

### III. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული ორგანოები

14. მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ოკრუგებში, ქალაქებსა და რაიონებში სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის უმაღლესი ორგანოა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კონფერენცია, რომელიც მოიწვევა არა უგვიანეს ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა აქვთ (რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ), არა უგვიანეს ოთხ წელიწადში ერთხელ.

ცნობას კონფერენციის მოწვევასა და დღის წესრიგზე სპორტკავშირის შესაბამისი საბჭო აქვეყნებს არა უგვიანეს ერთი თვისა მის მოწვევამდე.

# ...ბათა და ორგანიზაციების კავშირისა

## ...ფერენციის მიერ 1964 წლის 29 მაისს

...აზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს ...ოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის შე...ში.

...ბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქა...ული კონფერენციები:

...ამტკიცებს სპორტულ საზოგადოებათა და ორ... კავშირის საბჭოებისა და სარევიზიო კომისიე... და სახავს რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ...აქში, რაიონში, ფიზიკური კულტურისა და ...ტის განვითარების ძირითად ამოცანებს;

...ორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ...ოებისა და სარევიზიო კომისიების შემადგენლო...ციის მიერ დადგენილი რაოდენობით, დელეგა... კონფერენციებისთვის (ყრილობისთვის).

...რენციიდან კონფერენციამდე სპორტულ საზო... ორგანიზაციების კავშირის საბჭოები ხელმძღ... ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას რეს...ხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქის, რაიონის ტე...

...შირის პლენუმები მოიწვევა არა უგვიანეს ექვს ...ში.

...შირის საბჭოს წევრობის კანდიდატები და სარე...ის წევრები პლენუმის მუშაობაში მონაწილეო...თო ხმის უფლებით.

...ტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავ...ბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქა...ნული საბჭოები:

...აში, მხარეში, ოლქში, ოკრუგში, ქალაქში, რაი...ზაციას უკეთებენ ფიზკულტურისა და სპორტის ...საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ...რობის დადგენილებათა შესრულებას;

... საბჭოებთან, პროფკავშირების კომიტეტებთან, ...კომიტეტებთან, სამინისტროებთან, მშრომელთა ... საბჭოებთან, სამეურნეო და სხვა ორგანიზაცი... წყვეტენ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ოკ...გში, რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორ...ების საკითხებს;

...ავენ ფიზკულტურული და სპორტული ორგანი...რიგ ამოცანებს, ფიზკულტურულ-მასობრივი, ...ული და სპორტული მუშაობის ერთიან და ცალ...ებს;

...ციას უკეთებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ფიზ...მასობრივი, გამაჯანსაღებელი, სპორტული მუშა...ესოდ დაყენებისთვის და აჯამებენ ამ შეჯიბრე...; განაზოგადებენ და ნერგავენ ფიზკულტურის ..., ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებე... ორგანიზაციების მუშაობის მოწინავე გამოცდი...

...მოხსენებებს, ანგარიშებს, ინფორმაციებს, სპორ...გადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოე...ფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოე...ზიკური კულტურის კოლექტივების მოღვაწეო...

... რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ოკრუგში, ქა...ქში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვი...ორგანიზაციას უკეთებენ მთ კომპლექსსა და საკავ...ტულ კლასიფიკაციაზე მუშაობას; მონაწილეობენ ...სწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმა...ლებლების ფიზიკური აღზრდის პროგრამების ...ში;

... უწევენ სამინისტროებს (კომიტეტებს) და მათ ... ორგანოებს მოსწავლეთა შორის თვითმოქმე...ტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზა...

... ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, ამტკიცე...ტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისა და ...შეჯიბრებების ნაერთ კალენდარულ გეგმას; ...ენ ნაკრებ გუნდებს და ამზადებენ მათ შე...ბისას;

...ობის ორგანოებთან ერთად ორგანიზაციას უკე...ლტურასა და სპორტში მომეცადინეთა სამედი...ოლს;

...ულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერ...ენ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის ...თ მუშაობას, ზრუნავენ მათი საერთო განათ...ულტურის დონის ამაღლებისათვის;

...ებსა და უწყებებთან ერთად ახორციელებენ ...ული კადრების მომზადებასა და განაწილებას, ...ტროლს მათ გამოყენებაზე; აწარმოებენ რეს... მხარეში, ოლქში, ოკრუგში, ქალაქში, რაიონში ...ულტურისა და სპორტის სპეციალისტთა აღრი...

... უწევენ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგა... ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ფიზკულ...რების მომზადებაში;

...ას უკეთებენ ფიზიკური კულტურისა და ...ტისტიკურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას;

...ლობენ ფიზკულტურასა და სპორტში სამეც...თ მუშაობას;

...ულ, კომკავშირულ, სახელმწიფო და საზოგა...განიზაციებთან ერთად ორგანიზაციას უკეთებენ ...ლტურისა და სპორტის პროპაგანდას; გამოცე... ჟურნალებს, სასწავლო-მეთოდურ და პროპა...ლიტერატურას; მონაწილეობენ სხვა ორგანიზა... აღნიშნული ლიტერატურის გამოსაცემი გეგ...ვებაში; ამტკიცებენ ბეჭდვითი ორგანოების რე...

...სპორტკავშირის სისტემაში შემავალი სპორტუ...ების მშენებლობას; მონაწილეობენ სახელმწიფო, ...კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანი...რ წარმოებული სპორტული ნაგებობების მშე... გეგმაში და კოორდინაციას უწევენ მის გა...;

...ობენ გეგმების შედგენაში და კოორდინაციას ...ტული ინვენტარისა და მოწყობილობათა წარ...განაწილებას;

...სპორტულ წოდებებს, აჯილდოებენ შეჯიბრე...ავებულებს, საზოგადოებრივ აქტივს, ფიზიკური ... და სპორტის მუშაკებს, ფიზიკური კულტურის ... სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზა...

დადგენილი წესით ქმნიან წარმოებებს, სპორტულ ნაგებობებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, სასწავლო დაწესებულებებს, სპორტულ სკოლებს, კლუბებს, სპორტულ ბაზებს, ამტკიცებენ მათს სტრუქტურასა და შტატებს;

აფინანსებენ სპორტკავშირის საბჭოების უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოებს, სპორტულ ნაგებობებს, სასწავლო დაწესებულებებს, სპორტულ სკოლებსა და სხვა ორგანიზაციებს, ხელმძღვანელობენ მათს საფინანსო საქმიანობას; ახორციელებენ საფინანსო კონტროლს და ატარებენ დოკუმენტურ რევიზიებს სპორტკავშირის სისტემის ორგანიზაციებში;

სპორტულ საზოგადოებათა ორგანიზაციების კავშირს წარმოადგენენ ყველა სახელმწიფოებრივ, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ახორციელებენ სპორტკავშირის, როგორც იურიდიული პირის, უფლებებს.

18. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული საბჭოები ფიზკულტურული და სპორტული მუშაობისადმი ხელმძღვანელობისთვის პლენუმებიდან პლენუმამდე ირჩევენ პრეზიდიუმს, — საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, მათ შორის წარმომადგენლებს შესაბამისი პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოებიდან, პრეზიდიუმის წევრებს შესაბამისი საბჭოს მიერ დადგენილი რაოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების სპორტკავშირების საბჭოები, რომლებსაც საოლქო დაყოფა აქვთ (რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ), მიმდინარე საორგანიზაციო აღმასრულებელი ხასიათის მუშაობის ხელმძღვანელობისთვის საბჭოს მიერ დადგენილი რაოდენობით ირჩევენ ბიუროს.

19. სპორტკავშირის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული სარევიზიო კომისიები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს. სარევიზიო კომისიები კონტროლს უწევენ სპორტკავშირის საბჭოების, მათი საუწყებო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობას, აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების მდგომარეობას, ამოწმებენ მოქალაქეთა და ორგანიზაციების წერილებზე, საჩივრებსა და განცხადებებზე დროული და სწორი პასუხის გაცემას.

### IV. სპორტკავშირის ფედერაციები, საბჭოები და კომისიები

20. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მუშაობაში ფართო საზოგადოებრივი აქტივის მიზიდვის მიზნით, სპორტკავშირის საბჭოებთან იქმნება საზოგადოებრივი ორგანოები.

სპორტკავშირის ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან იქმნება ფედერაციები სპორტის სახეობათა მიხედვით, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სპორტკავშირის წესდებითა და მის მიერ დამტკიცებული ფედერაციების დებულებით.

ფედერაციები სპორტის სახეობებში წარმოადგენენ არჩევით საზოგადოებრივ ორგანოებს, თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ფართო დემოკრატიულ საწყისებზე, შემოქმედებით ინიციატივასა და თვითმოქმედებაზე.

ფედერაციები აქტიურად მონაწილეობენ სპორტკავშირის საქმიანობაში, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან ერთად წარმართავენ მუშაობას სპორტის თავისი სახეობის განვითარებისა და სპორტსმენთა ოსტატობის დონის ასამაღლებლად; ამუშავებენ ორგანიზაციულ და მეთოდურ მასალებს, პროგრამებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ინსტრუქციებს; განაზოგადებენ ფიზკულტურული კოლექტივების სექციების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების და მწვრთნელთა გამოცდილებას.

საკავშირო ფედერაციებს შეუძლიათ შევიდნენ შესაბამის საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში.

21. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებთან იქმნება აგრეთვე სამეცნიერო-მეთოდური საბჭოები, სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საბჭოები, სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საბჭოები, ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის, სპორტული მედიცინის ფედერაციები, სპორტულ ნაგებობათა საბჭოები, მსაჯთა კოლეგიები, მწვრთნელთა საბჭოები, სპორტულ-ტექნიკური კომისიები, მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის კომისიები და საბჭოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანოები, რომლებიც თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ სპორტკავშირის შესაბამისი საბჭოების გადაწყვეტილებებით.

### V. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების სახსრები

22. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების სახსრები შედგება სპორტული შეჯიბრებებისა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების შემოსავლიდან; სპორტკავშირის კუთვნილ სპორტულ ნაგებობათა ექსპლოატაციიდან; სპორტკავშირის წარმოებების საწარმოო და სავაჭრო საქმიანობიდან დაგროვილი თანხებიდან; გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა საგამომცემლო საქმიანობათა შემოსავლიდან; ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული (საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი) სახსრებიდან.

### VI. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების, როგორც იურიდიული პირების, უფლებების შესახებ

23. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი და მისი ორგანოები ადგილებზე, სარგებლობენ იურიდიული პირის ყოველგვარი უფლებებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით სსრ კავშირის საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებს აქვთ ბეჭედი და თავისი დასახელების შტამპელი.



ეს სურათი თავისებური ფოტოდოკუმენტია. თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩში კიეველთა მცველმა ლ. ოსტროვსკიმ ხელით გამოიტანა ბურთი კარიდან. ამ დარღვევის პირველი ფიქსატორი იყო ჩვენი ნახევარმცველი გ. სიჭინავა (მარცხნივ). მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი!

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**„ა“ კლასი**

მდგომარეობა 23 ივლისისთვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 15 | 10 | 3 | 2 | 34—12=+22 | 23 |
| „დინამო“ (თბილისი) | 15 | 10 | 2 | 3 | 27—13=+14 | 22 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 15 | 10 | 1 | 4 | 26—14=+12 | 21 |
| სკა (როსტოვი) | 15 | 6 | 6 | 3 | 22—12=+10 | 18 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 15 | 7 | 4 | 4 | 21—12=+ 9 | 18 |
| „დინამო“ (მინსკი) | 14 | 6 | 5 | 3 | 17—14=+ 3 | 17 |
| ცსკა | 14 | 6 | 5 | 3 | 11—8 =+ 3 | 17 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 15 | 4 | 8 | 3 | 17—15=+ 2 | 16 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 14 | 5 | 5 | 4 | 11—10=+ 1 | 15 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 16 | 6 | 3 | 7 | 24—21=+ 3 | 15 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 13 | 6 | 3 | 4 | 14—17=— 3 | 15 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 16 | 5 | 4 | 7 | 16—20=— 4 | 14 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 15 | 3 | 4 | 8 | 12—24=—12 | 10 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 15 | 3 | 4 | 8 | 13—27=—14 | 10 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 14 | 2 | 3 | 9 | 6—17=—11 | 7 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 14 | 0 | 5 | 9 | 8—25=—17 | 5 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 13 | 1 | 3 | 9 | 4—22=—18 | 5 |

## თბილისელები იმარჯვებენ

შოსტკა, 22 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო გათამაშების ნახევარფინალური მატჩები.

თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდს პირველი შეხვედრა ჰქონდა როსტოვის არმიელთა კოლექტივთან. ეს მატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს. გამარჯვება გარანტირებულ იქნა უკვე პირველ ტაიმში, როცა ჯანშიევმა ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. თბილისელებმა შეინარჩუნეს ეს ანგარიში და პირველი გამარჯვება ჩაიწერეს ფინალური გათამაშების ცხრილში — 2:0.

მეორე შეხვედრა თბილისელებს ჰქონდათ არმავირის „ტორპედოსთან“. ეს მატჩიც წარმატებით იქნა ჩატარებული. თამაშის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუცია — 0:0. შესვენების შემდეგ ნადირაშვილმა კარგად გამოიყენა შხვაცაბაიას გადაცემა და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. მატჩის დამთავრებას აკლდა 5 წუთი, როცა კობახიძემ მეორედ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 2:0.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1, ცსკა — „ტორპედო“ (არმავირი) 6:0, „არარატი“ (ერევანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:1, ცსკა—„არარატი“ (ერევანი) 3:0, „არარატი“ (ერევანი) — სკა (როსტოვი) 2:0, ცსკა — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0.

გ. ბაქანიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდების დუბლიორთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ვორონეჟის „ტრუდი“.

შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1.

## მოსწავლის წარმატება

მოსკოვი, 21 ივლისი (ჩვენი კორ.). აქ გამართულ ცხენოსანთა საკავშირო პირველობაზე ტოკიოში წასვლის საგზური მოიპოვა ფრუნზელმა ს. მურსალიმოვმა. მან ახალგაზრდა ცხენების სამჭიდში I ადგილი დაიკავა. ყველასთვის მოულოდნელად, უფროსი ასაკის ცხენების შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ვორონეჟელი მოსწავლე ა. ევდოკიმოვი. ეს ჭაბუკი შეყვანილია ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში.

## ...

### თბილისი

ჩაის საწონი ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტმა და ფიზკულტურის საბჭომ მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — მცხეთა — წიწამური — ზედაზენი. ლაშქრობის მონაწილეებმა დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები და კმაყოფილნი დაბრუნდნენ დედაქალაქში.

ი. ხაბეიშვილი

### ამბროლაური

რაიონის სპორტულ ცხოვრებაში სულ უფრო პოპულარული ხდება ხელბურთი. ამას წინათ ჩატარდა სარაიონო პირველობა განათლების განყოფილების გარდამავალ თასზე. ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლის ხელბურთელთა გუნდმა.

რ. მიქაუტაძე

### ზუგდიდი

ადგილობრივმა ტურისტულმა ბაზამ გახსნა სეზონი და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიიღო პირველი სტუმრები. ტურისტებმა დაათვალიერეს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კულტურისა და დასვენების პარკი, ენგურის ქაღალდის კომბინატი, ნახეს სილამაზით განთქმული სვანეთის ნისლმობურული მთები, დაუდეგარი ჩანჩქერები, ენგურის ხეობა და სხვა ღირსშესანიშნაობანი. წლევანდელ სეზონში ტურისტული ბაზა 8.000-მდე კაცს მოემსახურება.

გ. ალშიბაია

# რა ჯობს ბუნების წიაღში ყოფნას!




ზაფხულს მაინც თავისი გააქვს და ჩვენს დედაქალაქში სულის შემაწუხებელი სიცხე დაისადგურებს ხოლმე. თბილისში დარჩენილ მშრომელებს მრავალი საშუალება აქვთ ქალაქგარეთ გავიდნენ და სული მოითქვან ზაფხულის პაპანაქებისაგან. ერთ-ერთი ასეთი შესანიშნავი საშუალებაა კვირადღით ქალაქიდან გასვლა და ახლომდებარე, მშვენიერი ბუნებით გარშემორტყმულ ადგილებში სეირნობა-მოგზაურობა, დასვენება, გართობა...

დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ერთ-ერთ ასეთ ტურისტულ მარშრუტს.

ტურისტები მანქანით მიდიან საკურორტო დაბა წოდორეთამდე. აქედან ისინი ბილიკს შეუყვებიან და ტყიანი ქედით დიღმურას ხეობაში გადავლენ. პირველი შესვენება მოეწყობა მაჩხაანის ნასოფლართან, სადაც დაათვალიერებენ IX საუკუნის ეკლესიას ქართული და არაბული წარწერებით, შუა საუკუნეების დროინდელ ხელოვნურ გამოქვაბულებს. შემდეგ დიღმურას წყალს აჰყვებიან და მისი სამხრეთის შენაკადის გაყოლებით (მდინარე ბევრეთის ხევი) მივლენ მომავალ კურორტ ბევრეთამდე. აქ, წყაროსთან ერთი-ორი საათით შეისვენებენ და მერე ბევრეთიდან აღმოსავლეთით — მთაზე გადავლენ და სოფელ მსხალდიდში ჩავლენ. იქიდან კი კვლავ წოდორეთს დაბრუნდებიან.

საღამო ხანს, ლისის ტბაზე ბანაობის შემდეგ, დასვენებული და ნასიამოვნები ტურისტები თბილისს ჩამოვლენ...

## სკოგლუნდი კვლავ მინდორზეა

გამოჩენილი შვედი ფეხბურთელი ლ. სკოგლუნდი, რომელიც დიდი წარმატებით თამაშობდა 1948 წლის ლონდონის ოლიმპიადიდან მოყოლებული 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე და რამდენიმე წლის განმავლობაში იტალიის პროფესიულ კლუბებშიც გამოდიოდა, თავისი ასაკის მიუხედავად, ისევ მწვანე მინდორზეა.

სკოგლუნდი თამაშობს კლუბ „ჰამარბის" შემადგენლობაში. ეს გუნდი წარმატებით გამოდის შვეციის ეროვნულ ჩემპიონატში. მაგალითად, 10 ტურის შემდეგ მას ბურთების საოცარი სხვაობა ჰქონდა — 37—3.

„ჰამარბიმ" ამხანაგური შეხვედრა გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურ ნაკრებთან, რომელიც ტოკიოს ასპარეზობისთვის ემზადება. გაიმარჯვეს შვედებმა — 3:1

## დიდი ცვლილებები „რომაში"

„რომას" მორიგმა მარცხმა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში გუნდის მფარველი გრაფი დეტინა აიძულა ეზრუნა ახალი მოთამაშეების გადაბირებისთვის.

„რომა" გამოეთხოვება სორმანის (№ 9) და გერმანელ ნახევარმცველ შულცს (№ 6), რომლებიც წელს წარუმატებლად თამაშობდნენ. „იუვენტუსში" გადავა ანჯელილო (№ 10), მაგრამ ამ გუნდიდან დაუბრუნდება „რომას" ძველი მოთამაშე მენიკელი (№ 11). შნელინგერი, რომელიც „რომამ" იყიდა, მაგრამ ერთი წლით „მანტოვას" ათხოვა, წელს დაუბრუნდება კლუბს.

გუნდს სათავეში ჩაუდგა რომის „ლაციოს" ყოფილი ხელმძღვანელი, არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხუან ლორენცო.

### აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით...

▲ სტოკჰოლმი. შვეციის დედაქალაქიდან 50 კილომეტრით დაცილებულ საკურორტო დაბა სანდხამნში გაიხსნა სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატი საიალქნო სპორტში „დრაკონის" კლასის იახტებისთვის (ეს კლასი ყველაზე პოპულარულია და ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის). ასპარეზობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, ფინეთის, ნორვეგიის, დანიისა და შვეციის სპორტსმენები. პირველ რბოლაში დიდი წარმატება მოიპოვა საბჭოთა იახტა „ირმის" ეკიპაჟმა სპორტის ოსტატ ი. შავრინის მეთაურობით (მეზღვაურები—სპორტის ოსტატები ლ. ალექსეევი და ვ. ნიკოლინი). მან 1 წუთით გაუსწრო თავის უახლოეს მეტოქეებს და ფინიშზე პირველი იყო. მეორე ადგილზეა ჰელსინკელი სტუდენტი რ. გიულინგი, მესამეზე — შვედი უ. სუნდელინი.

▲ ტოკიო. ოლიმპიურ სპორტნაგებობათა უმეტესობა ჩქაროსნული მეთოდით აიგეს. მაგრამ გულდაგულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთ ნაგებობას სერიოზული ხარვეზები აქვს. მაგალითად, ტოკიოს გარეუბანში ახალაშენებულ ველოტრეკზე შეუძლებელია ასპარეზობის მოწყობა, რადგან ტრეკის ზედაპირი ბევრგან უსწორმასწოროა. ამჟამად სასწრაფოდ ასწორებენ ამ თვალსაჩინო დეფექტს.

▲ ბერლინი. გფრ-ის ორ ქალაქში — ვოლფსბურგსა და ესენში გაიმართა გერმანელ ტანმოვარჯიშეთა წინასაოლიმპიადო შესარჩევი შეჯიბრების პირველი ეტაპი (მეორე ეტაპი მოეწყობა გდრ-ში). ამ ასპარეზობათა შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება გერმანიის გაერთიანებული გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში.

## მისი უდიდებულესობა... ფეხბურთი

*მსოფლიოში რამდენი კაცი თამაშობს ფეხბურთს? ასეთი კითხვით მიმართა გერმანულმა გაზეთმა „დოიჩეს შპორტ-ეხომ" ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას. ვბეჭდავთ ფედერაციიდან მიღებულ პასუხს.*

*„მსოფლიოში ფეხბურთელთა რაოდენობის ზუსტი ციფრის დადგენა შეუძლებელია, რადგან მრავალ ქვეყანაში დაითვლებიან მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ ოფიციალურ შეჯიბრებებში. ამავე დროს, როგორც კლუბის წევრები, ისინი ხშირად გამოდიან ამხანაგურ მატჩებში, რაც ფედერაციაში არ აღირიცხება. 2 წლის განმავლობაში ჩავატარეთ სტატისტიკური გამოკვლევა და მივიღეთ ასეთი ციფრი: ევროპაში 8.380.486 ფეხბურთელია, რომლებიც გამოდიან სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებში. სხვა კონტინენტების შესახებ ხელთ არა გვაქვს სრული ციფრი. პროცენტულად ასეთი სურათია: ევროპაში ფეხბურთელთა 75 პროცენტია, სამხრეთ ამერიკაში — 16, აზიაში — 3, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში — 4, აფრიკაში — 2. მთელს მსოფლიოში შეჯიბრებებში აქტიურად მონაწილე ფეხბურთელთა რაოდენობა შეადგენს 11.173.982-ს. მაშასადამე, მის უდიდებულესობა ფეხბურთს 11 მილიონზე მეტი ქვეშევრდომი ჰყავს.*

## აფრიკის პირველობაზე

აფრიკის მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 15 ეროვნული ნაკრები. ისინი განაწილებული იქნებიან 4 ნახევარფინალურ ჯგუფად, საიდანაც 4-4 გამარჯვებული გადის ფინალში. უშუალოდ ფინალში დაშვებული არიან აფრიკის თასის მფლობელი — განის გუნდი და ტუნისის ნაკრები (როგორც შეჯიბრების ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელი).

შესარჩევი შეჯიბრებები უნდა გაიმართოს წელს. 1965 წელს ჩატარდება ფინალური თამაშები 6 უძლიერესი ნაკრების მონაწილეობით.



სურათზე: იტალიის პროფესიული გუნდი — რომის „ლაციო", რომელიც ამას წინათ იმყოფებოდა სსრ კავშირში.

## ლიდჰოლმი და ვიანი — „მილანის" სათავეში

იტალიის პროფესიული საფეხბურთო კლუბის „მილანის" დირექტორატმა განაახლა ხელშეკრულება შვედ ნ. ლიდჰოლმთან და მწვრთნელთან ვიანისთან, როგორც ტექნიკურ დირექტორთან (ჩვენებურად, — გუნდის უფროსი). ახალ ხელმძღვანელობას ევალება ძველი დიდება დაუბრუნოს „მილანს", ამისათვის კი საჭიროა იტალიის ჩემპიონობის მოპოვება.

ლიდჰოლმი და ვიანი აპირებენ გუნდის გაახალგაზრდავებას. უნდა შეიცვალონ ისეთი ვეტერანები, როგორიც არიან მეკარე გეზი (იგი ჯერ კიდევ მსოფლიოს V ჩემპიონატში მონაწილეობდა 1954 წელს), ცენტრალური მცველი მალდინი, ნახევარმცველი რადიჩე. თავდასხმაში ძველი მოთამაშეებიდან დარჩება მხოლოდ ცნობილი დუეტი ალტაფინი — რივერა.

„მილანი" პერუს ცნობილ კლუბ „კრისტალს" შეუთანხმდა იმის თაობაზე, რომ იტალიაში გადავიდეს საუცხოო ცენტრფორვარდი გალიარდი, რომელიც თავის გუნდში ბრაზილიელი მწვრთნელის — დიდის ხელმძღვანელობით დაწინაურდა.

### უჩვეულო ოპერაცია

ცნობილი პროფესიული მოკრივე, ომამდელ წლებში მსოფლიოს ჩემპიონი პრიმო კარნერა, რომელიც ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობს, საოპერაციო შეიქნა. როცა ეს გიგანტი კლინიკაში მიიყვანეს, აღმოჩნდა, რომ მისი სიმაღლე გაცილებით აღემატება საოპერაციო მაგიდის სიგრძეს.

ქირურგს მხოლოდ ერთიღა დარჩენოდა: მან ერთმანეთს მიადგა ორი საოპერაციო მაგიდა და სასწრაფოდ გააკეთა უჩვეულო ოპერაცია: ერთი — ორ მაგიდაზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ბურევესტნიკის" სტადიონი
დ ღ ე ს !
ფ ე ხ ბ უ რ თ ი
სსრ კავშირის პირველობა
(„ა" კლასის II ჯგუფი)
„ლოკომოტივი" (თბილისი)— „ტრუდი" (ვორონეჟი)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11262